



საქართველო  
 ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის  
 საკრებულო



07/06/2016

19-07-4-201606071755



N 19

ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს  
 დადგენილება №19  
 2016 წლის 7 ივნისი  
 ქ. ლანჩხუთი

**„ადგილობრივი (ქონების) გადასახადის შემოღებისა და მისი განაკვეთების შესახებ“ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2016 წლის 25 მარტის N14 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე**

საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი“ 61-ე მუხლის პირველი და მე-2 ნაწილების, „ნორმატიული აქტების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-20 მუხლის მე-4 პუნქტისა და საქართველოს კანონის „საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსი“ 63-ე მუხლის შესაბამისად, ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულო ადგენს:

**მუხლი 1.** „ადგილობრივი (ქონების) გადასახადის შემოღებისა და მისი განაკვეთების შესახებ“ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2016 წლის 25 მარტის N14 დადგენილებაში ([matsne.gov.ge](http://matsne.gov.ge), 30/03/2016, სარეგისტრაციო კოდი: 200130000.35.112.016265) შევიდეს ცვლილება, კერძოდ:

ა) დადგენილების პირველი მუხლით დამტკიცებული დანართის მე-4 მუხლი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

**„მუხლი 4.** განისაზღვროს ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე სასოფლო-სამეურნეო დანიშნულებისა და ტყის მიწაზე ქონების გადასახადის წლიური განაკვეთი ერთ ჰექტარზე გაანგარიშებით, ლარებში;

N	მიწის კატეგორიები	გადასახადების განაკვეთები ლარი/ჰა
---	-------------------	--------------------------------------

1	სათიბი (ბუნებრივი და გაკულტურებული)	20.00
2	სამოვარი (ბუნებრივი და გაკულტურებული)	16.00
3	სახნავი (მათ შორის, მრავალწლიანი ნარგავებით დაკავებული მიწა, საბაღე, საბოსტნე)	73.00
4	საკარმიდამო	73.00
5	სასოფლო-სამეურნეო საქმიანობაში გამოყენებული ტყის მიწებისათვის	
	ა) სათიბი	20.00
	ბ) სამოვარი	16.00
	გ) სახნავი	73.00

ბ) დადგენილების პირველი მუხლით დამტკიცებულ დანართს დაემატოს შემდეგი შინაარსის 4<sup>1</sup> მუხლი:

„**მუხლი 4<sup>1</sup>.** განისაზღვროს ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე ბუნებრივი რესურსებით მოსარგებლე პირისათვის (შესაბამისი ლიცენზიის გაცემის საფუძველზე) გამოყოფილ მიწებზე ქონების გადასახადის წლიური განაკვეთი ერთ ჰექტარზე 3.00 ლარით“.

**მუხლი 2.** დადგენილება ამოქმედდეს გამოქვეყნებისთანავე.

გიორგი ხელაძე

საკრებულოს თავმჯდომარე

საკრებულოს ბიურო

